<u>ამონაწერი</u>

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
იურიდიული ფაკულტეტის
საბჭოს სხდომის
ოქმი № 6

23 აპრილი, 2026 წელი

საბჭოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი:

1. ტურავა პაატა

საბჭოს წევრები:

1. ბრეგვაძე ლაშა
2. დავითაშვილი გიორგი
3. ზოიძე ბესარიონ
4. თოდუა ნონა
5. ივანიძე მაია
6. კვერენჩხილაძე გიორგი
7. კორკელია კონსტანტინე
8. ნინიძე თევდორე
9. ქურდაძე ირინე
10. ჭიღლაძე ნანა
11. ხარშილაძე ირმა
12. ბოსტოღანაშვილი დავით
13. გონაშვილი ვასილ
14. ლორია ხათუნა
15. ფერაძე გოჩა
16. კევლიშვილი მარიამ
17. ღვამიჩავა თამარ

საბჭოს წევრები სტუდენტური თვითმმართველობიდან:

1. ხაზალიშვილი დავით
2. ცერცვაძე ანასტასია

ასევე საბჭოს არაწევრები:

1. ბურდული ირაკლი
2. გველესიანი ნათია
3. გიორგიძე ალექსანდრე
4. ლაპიაშვილი ნინო
5. ტეფნაძე ნიკა

<u>**დღის წესრიგი:**</u>

1. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის ევროპული კვლევების ინსტიტუტის ევროპისმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამაში შესატანი ცვლილებების განხილვა და უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოსთვის წარდგენა.

<u>**განიხილეს:**</u>

1. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის ევროპული კვლევების ინსტიტუტის ევროპისმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამაში შესატანი ცვლილებების განხილვა და უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოსთვის წარდგენა.

თსუ იურიდიული ფაკულტეტის ევროპული კვლევების ინსტიტუტის დირექტორმა ქალბატონმა ნინო ლაპიაშვილმა იურიდიული ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებლის წარდგინების საფუძველზე ფაკულტეტის საბჭოს მოახსენა თსუ იურიდიული ფაკულტეტის ევროპული კვლევების ინსტიტუტის საბაკალავრო პროგრამაში შესატანი ცვლილებების პროექტის შესახებ.

ქალბატონმა ნინომ აღნიშნა, რომ ევროპისმცოდნეობის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მხარდამჭერი კომიტეტის სხდომამ განიხილა ევროპისმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამაში შესატანი ცვლილებები. მან სხდომის გადაწყვეტილება *(იხ. დანართი №1)* დასამტკიცებლად წარუდგინა ფაკულტეტის საბჭოს.

საბჭოს წევრებს მიეწოდათ ზოგადი ინფორმაცია პროგრამაში შესატანი ცვლილებების *შესახებ (იხ. დანართი №2)*, კერძოდ, სავალდებულო კურსების რაოდენობა შემცირდა 165 ECTS კრედიტიდან 130 ECTS კრედიტამდე. შესათავაზებელი არჩევითი კურსების რაოდენობა შემცირდა 9 კურსით და ჯამში 29 კურსის ნაცვლად მოხდება 20 არჩევითი კურსის შეთავაზება. თავისუფალი კრედიტების რაოდენობა 35 ECTS კრედიტიდან შემცირდა 30 ECTS კრედიტამდე.

კენჭისყრის შედეგი:

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

დაადგინეს:

იურიდიული ფაკულტეტის საბჭომ მხარი დაუჭირა სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის ევროპული კვლევების ინსტიტუტის ევროპისმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამაში შესატან ცვლილებებს და უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოსთვის წარდგენას.

საბჭოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი
პროფესორი პაატა ტურავა

საბჭოს მდივანი
ასისტენტ-პროფესორი მარიამ კევლიშვილი

ამონაწერი სწორია
საბჭოს მდივანი
ასისტენტ-პროფესორი მარიამ კევლიშვილი